

BeHero - მათემატიკის ოლიმპიადა

BeHero, არის კომპანია, რომლის მიზანია საქართველოს ბაზარზე განათლების ხელშეწყობა და მისი ხარისხის გაუმჯობესება საუნივერსიტეტო დონეზე. ჩვენი ვეწმნით ახალ, ინოვაციურ პროდუქტს, რომელიც აუცილებლად დაეხმარება ყველა დაინტერესებულ პირს საკუთარი თავი გამოსცადოს სხვადასხვა საგანში და შეებრძოლოს ჩვენს დრაკონს, რომელიც უცოდინრობის საკმაოდ ეფექტური საზომია.

ჩვენი ოლიმპიადა განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს საკუთარი თავი გამოსცადოს და მოხვდეს საქართველოს რჩეულ სტუდენტს შორის, ვისაც სურს მოიგოს ბრძოლა და გახდეს გამირი.

BeHero შეიქმნა იმ მიზნით რომ ხელი შეუწყოს საქართველოს საზოგადოებრივი და კერძო უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლების მიმღებთა განათლების ხელშეწყობას და მოტივირებას. ამასთან, ჩვენ ვზრუნავთ საქართველოში ცოდნის შემოწმების გზების ელექტრონული მეთოდების დანერგვაზე, რაც გამოხატავს ოლიმპიადის ინოვაციურობას.

კომპანია "BeHero"-ს სახელით გვსურს წარმოგიდგინოთ საქართველოში პირველი ინოვაციური ელექტრონული ოლიმპიადა, რომელიც გაიმართება 2021 წლის 13 და 14 მარტს, მათემატიკაში.

ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომელსაც აქვს სურვილი კონკრეტულ საგნობრივ ჯგუფში საკუთარი კომპეტენცია დაადასტუროს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირება და ამიტომ ოლიმპიადის ჩატარება სრულად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესთან. იგი არ შეუშლის სასკოლო პროცესის მსვლელობას.

ფაქტობრივი ინფორმაცია ოლიმპიადის შესახებ

* ოლიმპიადა შედგება 1 ტურისაგან (20 კითხვისგან), რომელიც ტარდება კონკრეტულად დადგენილ თარიღებსა და საათებში;

* ოლიმპიადისთვის გამოყოფილი დრო არის ტესტის დასაწყისიდან 55 წუთი. ამ დროის განმავლობაში, რეგისტრირებული აპლიკანტები წერენ ტესტს, ოლიმპიადით განსაზღვრული წესების შესაბამისად;

* ოლიმპიადის წესების შესახებ შეგიძლიათ ინფორმაცია მიიღოთ: [წესები და პირობები](#);

* ტესტის დასაწყერად, სტუდენტებს სჭირდებათ მხოლოდ კომპიუტერული მოწყობილობა (კამერით) და ინტერნეტი. იგი სავალდებულოა, რადგან საიტის მონიტორინგის გარდა, ოლიმპიადის ცოცხალი მონიტორინგი მიმდინარეობს პროგრამა Google Meet შეხვედრაზე ჩართვით;

* ტესტის დასრულების მომენტში, სტუდენტის ქულა მაშინვე აისახება ეკრანზე და იგი ასევე გადაინაცვლებს ჩვენი ოფიციალური გვერდის სტატისტიკაში;

* ტესტის დასრულებისთანავე მონაწილეს შეუძლია ნახოს ტესტი, მასში დაშვებული შეცდომები და ამოხსნის მონაწილის სერტიფიკატი;

* რეიტინგულად, სამი უმაღლესი ქულის მქონე სტუდენტი ხდება ოლიმპიადების გამარჯვებული.

* ყველა სტუდენტი მიიღებს ელექტრონულ სერტიფიკატს. კონკრეტული ქულიდან გამომდინარე, სტუდენტი მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს;

ასევე, ოლიმპიადის გამარჯვებული სტუდენტთა აკადემიური ხელმძღვანელები (მასწავლებლები/ლექტორები), ჩვენგან მიიღებენ სამადლობელ წერილს;

ოლიმპიადაზე რეგისტრაციისათვის, სტუდენტები უნდა ეწვიონ შემდეგ ბმულს: [ოლიმპიადაზე რეგისტრაცია](#)

მათ უნდა შეიყვანონ შესაბამისი ინფორმაცია და დაასრულონ რეგისტრაცია. ამის შემდეგ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება გადაიხადოს ოლიმპიადის საფასური, რომელიც შეადგენს 15 ლარს მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

გადახდისას, დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს ოლიმპიადის მონაწილის სახელი, გვარი და შეკვეთის ნომერი, რომლითაც ოლიმპიადის მონაწილემ გაიარა რეგისტრაცია. თანხის საბანკო ანგარიშზე ასახვის შემდგომ, მონაწილეს პირდაპირ დაუფიქსირდება ოლიმპიადაზე რეგისტრაციის წარმატებულად გავლა და მას საშუალება ექნება ოლიმპიადა წეროს მითითებულ დროსა და თარიღში.

ნებისმიერი დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ოფიციალურ ვებ-გვერდს: <https://behero.ge/>

ჩვენთან კომუნიკაციის დამყარება ასევე შესაძლებელია ვებ-გვერდზე არსებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით.